ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება:**№48. 482505913**

თარიღი:**28/02/2025**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2026 – 2029 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის, საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმისა და მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პროექტის ფორმირების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2026 – 2029 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის, საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმისა და მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პროექტის სრულყოფილად შედგენის უზრუნველსაყოფად, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ე.ე ქვეპუნქტის, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 76-ე მუხლის 3-ე პუნქტის და „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის №385 ბრძანების შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2026 - 2029 წლის პრიორიტეტების დოკუმენტისა და საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის მომზადება / განახლების, 2026 წლის ბიუჯეტის პროექტის მომზადების სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა დანართი №1 - ის შესაბამისად;

2. დამტკიცდეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2026 - 2029 წლის პრიორიტეტების დოკუმენტისა და საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის მომზადება / განახლების, 2026 წლის ბიუჯეტის პროექტის მომზადების შიდა საბიუჯეტო კალენდარი დანართი №2 - ის შესაბამისად;

3. გენდერული ბიუჯეტირების დანერგვის მიზნით, შესაბამისმა სამსახურებმა, მერიის გენდერზე პასუხისმგებელ პირთან კოორდინაციით უზრუნველყონ მათ მიერ განსახორციელებელი პროგრამების / ქვეპროგრამების იდენტიფიცირება გენდერულ ჭრილში. აღნიშნული წარუდგინონ საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურს პრიორიტეტების დოკუმენტში, საშუალოვადიან სამოქმედო გეგმასა და ბიუჯეტის პროგრამულ დანართში ასახვის მიზნით;

4. გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების SDG 2030 ლოკალიზების უზრუნველყოფის მიზნით შესაბამისმა სამსახურებმა უზრუნველყონ მათ მიერ განსახორციელებელი პროგრამების / ქვეპროგრამების იდენტიფიცირება გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებთან. აღნიშნული წარუდგინონ საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურს პრიორიტეტების დოკუმენტში, საშუალოვადიან სამოქმედო გეგმაში, ბიუჯეტსა და ბიუჯეტის პროგრამულ დანართში ასახვის მიზნით;

5. ამ ბრძანების შესრულების კოორდინაცია განახორციელოს საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურმა ადმინისტრაციულ სამსახურთან ერთად;

6. საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურმა უზრუნველყოს პროგრამის / ქვეპროგრამის განმახორციელებლებისათვის შესაბამისი რეკომენდაციების გაცემა და საბიუჯეტო კალენდრის შესაბამისად შესაბამისი საბიუჯეტო დოკუმენტების / ფორმების მიწოდება.

7. ბრძანება თავისი დანართებით გამოქვეყნდეს მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

8. ბრძანება ამოქმედდეს 2025 წლის 1 მარტიდან.

9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი